



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 1-ლი ნოემბრის
სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N33

სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციცილო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, ნათია კორკოტაძე, გიორგი თევზაძე, გიორგი ტურაზაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

(ა) ირენი გოგიშვილის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ირენი გოგიშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ ემა არზიანის, ნატო ბაწაშვილის, მარიამ ხაჭაპურიძის, ლევან პატიეშვილის, გიორგი მძევაშვილის ხელახალი გაწევრიანებისთვის წარმოდგენილ განცხადებებს.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ემა არზიანის, ნატო ბაწაშვილის, მარიამ ხაჭაპურიძის, ლევან პატიეშვილის და გიორგი მძევაშვილის მიერ ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა:

წევრები გაეცნენ შემდეგ პირთა: მერი დაუშვილი, ნოდარ ხუციშვილი, ნინო მეზვრიშვილი, თამარ ხეთაგური, ირენი გოგიშვილი, მათა უსტალიშვილი, ბაკურ ხიჯაკაძე განცხადებებს პირადი განცხადების საფუძველზე წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს არ გააჩნიათ საწევრო დავალიანება. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს მერი დაუშვილის, ნოდარ ხუციშვილის, ნინო მეზვრიშვილის, თამარ ხეთაგურის, ირენი გოგიშვილის, მათა უსტალიშვილის და ბაკურ ხიჯაკაძის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს გააცნო ასოციაციის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი. წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი პროექტი და მასში შესატანი ცვლილებები.

ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებ იქნა გადაწყვეტილება: სხდომაზე წარმოდგენილ 2020 წლის ბიუჯეტში აისახოს წევრების მიერ წარდგენილი ცვლილებები და 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი განსახილველად წარმოდგენილ იქნას აღმასრულებელი საბჭოს მომდევნო სხდომაზე.

საკითხი 5. ასოციაციის აპარატში ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების საკითხის განხილვა, შესაბამისი სამუშაო აღწერილობის დამტკიცება, საშტატო განრიგში და სახელფასო ფონდში ცვლილების შეტანა

წევრები გაეცნენ აღმასრულებელი მდივნის მიერ წარმოდგენილ ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებების პროექტს. აღმასრულებელმა მდივანმა აღნიშნა, რომ მიმდინარე თვის ბოლოსთვის ვაკანტური იქნება აპარატის ორი საშტატო ერთეული: ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერისა და თავმჯდომარის მდივან-რეფერენტის პოზიციები.

შესაბამისად მიზანშეწონილია განხორციელდეს ცვლილებები საშტატო განრიგსა და სახელფასო ფონდში, გადაიხედოს სამუშაო აღწერილობები და აღნიშნულ პოზიციებზე განსაზღვრული უფლება-მოვალეობების ეფექტიანად შესრულების მიზნით გაიზარდოს თანამდებობრივი სარგოს ოდენობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს განუმარტა, რომ სასურველია გაუქმდეს თავმჯდომარის მდივან-რეფერენტის საშტატო ერთეული და მის ნაცვლად შეიქმნას თავმჯდომარის თანაშემწის საშტატო ერთეული, რომელსაც ექნება უფრო ფართო ფუნქცია-მოვალეობები, ვიდრე აქამდე ჰქონდა თავმჯდომარის მდივან-რეფერენტს და შესაბამისად განისაზღვროს თანამდებობრივი სარგოც.

ასევე, მიზანშეწონილია, ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის საშტატო ერთეულისთვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების ეფექტიანად შესრულების უზრუნველსაყოფად გაიზარდოს ამ პოზიციისთვის განსაზღვრული თანამდებობრივი სარგო.

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს წარუდგინა ასოციაციის თავმჯდომარის თანაშემწისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის სამუშაო აღწერილობები (დანართი N1) და განმარტა, რომ სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესრულების მიზნით მიზანშეწონილია თავმჯდომარის თანაშემწის პოზიციისთვის განისაზღვროს თანამდებობრივი სარგო 1500 ლარის (გადასახადების ჩათვლით), ხოლო ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერისთვის 1800 ლარის (გადასახადების ჩათვლით) ოდენობით.

აღმასრულებელმა მდივანმა, აღნიშნა, რომ ასოციაციის თავმჯდომარის თანაშემწის ახალი სამუშაო აღწერილობითა და მისთვის უფრო ფართო ფუნქციების მინიჭებით, აუცილებელია განხორციელდეს ცვლილება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორის სამუშაო აღწერილობის ნაწილშიც მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო აღწერილობის შესაბამისად (დანართი 2).

აღმასრულებელმა მდივანმა აღნიშნა, რომ ასევე, მიზანშეწონილია გაიზარდოს ეთიკის კომისიის აპარატის იურისტის ერთი საშტატო ერთეულისთვის განსაზღვრული თანამდებობრივი სარგო და გაუთანაბრდეს ეთიკის კომისიის აპარატის იურისტებისათვის განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოს, რაც შეადგენს 1500 ლარს (გადასახადების ჩათვლით).

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ პროექტს და სამუშაო აღწერილობებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:

(ა) ასოციაციის აპარატში განხორციელდეს ორგანიზაციული ცვლილება, გაუქმდეს ასოციაციის თავმჯდომარის მდივან-რეფერენტის საშტატო ერთეული და შემოღებულ იქნას ასოციაციის თავმჯდომარის თანაშემწის საშტატო ერთეული;

(ბ) დამტკიცდეს ასოციაციის თავმჯდომარის თანაშემწისა და აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორის ერთეულის სამუშაო აღწერილობები სხდომაზე წარმოდგენილი სახით დანართი N1-ისა და დანართი N2 შესაბამისად;

(გ) ასოციაციის აპარატში ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ახალი საშტატო ერთეულისათვის, ასევე, ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერისა და ასოციაციის ეთიკის კომისიის აპარატის იურისტის ერთი საშტატო ერთეულისთვის დადგინდეს თანამდებობრივი სარგოები სხდომაზე წარმოდგენილი სახით და შევიდეს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის აპარატის სახელფასო ფონდში. სახელფასო ფონდი განახლებული სახით დასამტკიცებლად წარმოდგენილ იქნას აღმასრულებელი საბჭოს შემდეგ სხდომაზე.

საკითხი 6. აკრედიტაციის მინიჭების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ ააიპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) და შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის“ განცხადებებს აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული განცხადებები განხილულ იქნა საგანმანათლებლო საბჭოს სხდომაზე და დადგინდა, რომ ორივე განაცხადი შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებით დადგენილ მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) და შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის“ განცხადებები აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

საკითხი 7. ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის უფლებათა დაცვის სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის ანგარიშის გაცნობა

ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის დებულების მე-9 მუხლის თანახმად, წევრები გაეცნენ ასოციაციის ადვოკატის უფლებათა დაცვის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის - როლანდ შონიას ანგარიშს კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

საკითხი 8. სხვადასხვა

წევრებმა განიხილეს **ნინო ბერძნიშვილის** 2019 წლის 31 ოქტომბრის განცხადება, რომელიც ითხოვდა 2019 წლის 27 სექტემბერს ადვოკატთა საშემოდგომო გამოცდაზე რეგისტრაციისთვის გადახდილი საფასურის დაბრუნებას, რადგან ვერ ახერხებდა 2019 წლის 1 დეკემბერს ჩანიშნულ გამოცდაზე გასვლას.

წევრებმა განაცხადეს, რომ ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-2 მუხლის, 2.3 პუნქტის თანახმად, რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, აპლიკანტის მოთხოვნა გამოცდაში მონაწილეობისთვის გადახდილი საფასურის უკან დაბრუნების შესახებ არ დაკმაყოფილდება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ნინო ბერძნიშვილის 2019 წლის 31 ოქტომბრის განცხადება, 2019 წლის 27 სექტემბერს ადვოკატთა საშემოდგომო გამოცდაზე რეგისტრაციისთვის გადახდილი საფასურის დაბრუნების თაობაზე. გადაწყვეტილების თაობაზე ეცნობოს განმცხადებელს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე